პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

—აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის II ქუჩისთვის აკადემიკოსის, რევმატოლოგ ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) კრწანისის რაიონში, ხეივნის II ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოსის, რევმატოლოგ ვლადიმერ წითლანაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X:485,568.114
Y:4,614,489.745
X:485,688.358
Y:4,614,472.252
X:485,984.143
Y:4,614,473.516
ვლადიმერ წითლანაძის ქ.
X:485,689.622
Y:4,614,429.251
X:486,255.551
Y:4,614,377.363
X:486,305.461
Y:4,614,236.753
X:486,330.279
Y:4,614,232.123
X:486,356.089
Y:4,613,946.386

02/382

აკად. ვ. წითლანაძის
სახელობის რევმატოლოგიის
სამეცნიერო პრაქტიკული
ცენტრი, შპს

V. TSITLANADZE
SCIENTIFICALLY-PRACTICAL
RHEUMATOLOGY CENTER, LTD

საქართველო, თბილისი, 0102, დ. უზნაძის 51
ტელ: (+995 32) 295 40 41; (+995 32) 295 60 59
ფაქსი: (+995 32) 237 26 65

51 Uznadze str, 0102, Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 295 40 41; (+995 32) 295 60 59
Fax: (+995 32) 237 26 65

ქ.თბილისი №144 21.10.2015წ.

ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

აკადემიკოს ვლადიმერ წითლანაძის სახელობის რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები შუამდგომლობენ საკრებულოს წინაშე, რათა ქ.თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს ვლადიმერ წითლანაძის სახელი.

ვლადიმერ წითლანაძე გახლდათ გამოჩენილი მეცნიერი, რევმატოლოგი, კურორტოლოგი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, სამამულო რევმატოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის, საქართველოს რევმატოლოგთა ასოციაციის, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის, რევმატოლოგიის კათედრის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის აკადემიკოსთა საერთაშორიოს საზოგადოების აკადემიკოსი.

ვლადიმერ წითლანაძე დაიბადა 1924 წლის 15 ოქტომბერს საკურორტო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წითლანაძის ოჯახში.

1947 წელს დაიწყო მუშაობა კურორტ წყალტუბოში, სადაც განელო გზა რიგითი ექიმიდან მთავარ ექიმამდე. 1962-64წწ. ვლადიმერ წითლანაძე მუშაობდა ქ.თბილისის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ. 1964 წ. ინიშნება საქართველოს კუროროტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის დირექტორად. 1964-1971 წწ. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მისი დირექტორობის დროს

07/19240
23 ოქტომბერი 15
2

ინსტიტუტში გაიშალა მასშტაბური კელევები, საქართველოს ჰიდრომინერალური რესურსების შესწავლისა და გამოყენების შესახებ, რის საფუძველზეც შედგენილ იქნა საქართველოს მინერალური წყლების ჰიდროგეოლოგიური რუკა. მასვე ეკუთვნის კარსტული მღვიმეების სამკურნალო თვისებების შესწავლა საქართველოში, დაზუსტებულია კურორტული ფაქტორების გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები.

1976 წლიდან ელ. წითლანაძე მუშაობდა ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში რევმატოლოგიის გამყოფილების გამგედ. 1979 წელს საფუძველი ჩაეყარა ქართულ მეცნიერულ რევმატოლოგიურ სკოლას – დაარსდა საქართველოს რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, მისივე ხელმძღვანელობით დაფუძნდა რევმატოლოგიის კათედრა დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიო სამედიცინო აკადემიასთან.

ელ.წითლანაძის ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, გამოქვეყნებულია 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 3 მონოგრაფია, იყო მრავალი სამეცნიერო კონგრესის მონაწილე მომხსენებლის სტატუსით. ასევე გახლდათ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო სარედაქციო საბჭოს წევრი: „Rheumatology in Europe“, „Вопросы курортологии“ და "Ревматология“.

ელ. წითლანაძე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საყურადღებოა მისი როლი მაღალკვალიფიცური კადრების უანგარო მომზადებაში, რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი ამჟამადაც წარმატებით ფუნქციონირებს და სიამაყით ატარებს აკადემიკოს ელადიმერ წითლანაძის სახელს.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს ელადიმერ წითლანაძის სახელი.

რევმატოლოგიის ცენტრის დირექტორი,

პროფესორი დოდო ქართველიშვილი

ვლადიმერ წითლანაძე

(1924-1998)

აკადემიკოსი, რევმატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1924 წლის 15 ოქტომბერს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წითლანაძის ოჯახში.

1947 წელს დაიწყო მუშაობა კურორტ წყალტუბოში, სადაც განვლო გზა რიგითი ექიმიდან მთავარ ექიმამდე. 1962-64 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ. 1964 წელს დაინიშნა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის დირექტორად. 1964-1971 წლებში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. იყო რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის, საქართველოს რევმატოლოგთა ასოციაციის, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის, რევმატოლოგიის კათედრის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის აკადემიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების აკადემიკოსი.

1976 წლიდან ვლადიმერ წითლანაძე მუშაობდა ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიიერო-კვლევით ინსტიტუტში რევმატოლოგიის განყოფილების გამგედ. მისი ხელმძღვანელობით გამოქვეყნებულია 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 3 მონოგრაფია.

ვლადიმერ წითლანაძე დაჯილდოებულია ‘’საპატიო ნიშნის’’ ორდენით და უმაღლესი საბჭოს პეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გარდაიცვალა 1998 წელს.